საქართველოს მთავრობის

დადგენილება №274

2024 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

„დასაქმების ხელშეწყობის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 თებერვლის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დასაქმების ხელშეწყობის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 თებერვლის №46 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/02/2024, 190020010.10.003.024438) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №4 დანართის („არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ქვეპროგრამა“) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ქვეპროგრამის მიზნებისთვის, განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ოდენობა, სულ 1010 ერთეულით, კერძოდ:

ა) დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვროს არაუმეტეს 10 ერთეულით;

ბ) არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში მყოფ პირთა რიცხოვნობა განისაზღვროს არაუმეტეს 1 000 ერთეულით, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვადით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**